მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესყიდვის ზოგადი შეტყობინება

პროექტის დასახელება	საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება
ქვეყანა:	საქართველო
სექტორი:	ენერგოეფექტურობა
დაფინანსების წყაროები:	ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაცია (NEFCO); აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდი (E5P)
შესყიდვის ტიპი:	სამშენებლო სამუშაოები, საქონელი და მომსახურება
შეტყობინების ტიპი:	შესყიდვის ზოგადი შეტყობინება
გამოქვეყნების თარიღი:	27 მარტი, 2023

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გეგმავს ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაციის (NEFCO) მიერ გამოყოფილი სესხისა და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდის (E5P) მიერ გამოყოფილი გრანტის გამოყენებას საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით: „საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება“. პროექტი, რომლის საერთო სავარაუდო ბიუჯეტი არის 6.5 მილიონი ევრო (დღგ-ს გარეშე), მიზნად ისახავს ენერგოეფექტური და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას ქვეყნის შემდეგ მთიან რეგიონებში მდებარე 12 საჯარო სკოლაში: თიანეთი, გორი, წალკა, ასპინძა, ახალციხე, ამბროლაური და ბორჯომი.

პროექტი მოიცავს კვლევების ჩატარებას (მიწისძვრის გამძლეობასა და შენობის გამაგრებასთან დაკავშირებით), დიზაინის შემუშავებას, საქონლის მოწოდებას და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას. პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- სახურავების, კედლებისა და მილების თბოიზოლაცია;
- ფანჯრების ჩანაცვლება;
- გათბობის სისტემების განახლება, მათ შორის ბოილერების ჩანაცვლება;
- რადიატორებზე თერმოსტატული სარქველებისა დაყენება;
- დამატებითი ღონისძიებების ჩატარება შენობების ზოგადი მდგომარეობის, ან შენობების შიდა გარემოს ზოგადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ზემოჩამოთვლილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერების გამოცხადება იგეგმება 2023 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2024 წლის მეორე კვარტალში.
NEFCO-ს სესხითა და E5P-ს გრანტით თანადაფინანსებული კონტრაქტებისათვის შესყიდვები განხორციელდება NEFCO-ის შესყიდვების სახელმძღვანელოში მითითებული პროცედურების თანახმად, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.nefco.int/wp-content/uploads/2021/08/NEFCO-Procurement-Policy-and-Procedures_January-2021.pdf .

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ირაკლი ფარესიშვილი, მგფ-ს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
ელ. ფოსტა: nefcoprocurement@mdf.org.ge;
მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +99532 2437001